ცნობის ფურცელი

№ 1803 ხუთშაბათი, 9 მაისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1803

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 9 მაისს 1902 წელს

ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთა და სცენის მოყვარეთა მიერ

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

უკანასკნელი წარმოდგენა

I.

სამშობლო

დრამა 5 მოქმ. გად. დ. ერისთავის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი კარგარეთელი, გიგიშვილი, რჩეულოვისა.

ბ.ბ. ვლ. მესხიშვილი, გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, ივანიძე, იმედაშვილი, რომანიშვილი, საფაროვი და სხვანი.

დასაწყისი 8½ საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა წლის მაისის 19 დღესა, დილის ათ საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური

საზოგადო კრება.

განსახილველია შემდეგი საგნები: 1) წლიური ანგარიში საზოგადოების 1901 წ. მოქმედებისა; 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა იმ ანგარიშის შესახებ; 3) სავარაუდო ანგარიში შემოსავალ-გასავლისა 1902 წლისათვის; 4) კერძო მოხსენებანი; 5) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა ნაცვლად ბ. ი. გომართელისა, რომელმაც წევრობას თავი დაანება, და 6) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. (3—2)

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე ვიორგის ძე

მალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე-ე მიიღებს აგრეთვე საქიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუმანოვის სახლი.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

პ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ი. ზ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

ზ. გ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათამდე.

ძ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საა თ.

ვ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ხტ. ალ. მოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ზ. მალალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ზ. მალალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სხვინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.-**ტელეფონი № 274.** (წლ.))

ე ქ ი მ ი

ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა **№ 24.**

ტელეფონი № 642.

წიგნების გამომცემელი ქართველთა ამხანაგობის კონტორა

უმორჩილესადა სთხოვს ამხანაგობის წევრთ, გამოუგზავნონ კონტორას თავიანთი ადრესები მდგომარე მაისის ოც-და-შვიდამდე.

ბებია

ვ. მ. ლიმონი

ცხოვრობს სუდებნის ქუჩაზე, სახლი მირზოევისა, № 34, სადგომი თ. ანდრონიკაშვილისა, საოლქო სასამართლოს რიგზე. (1—2)

დ ღ ი უ რ ი

V

6 მაისი

ამ წლის 3 მარტს შეუსრულდა 25 წელიწადი, რაც არსებობს გაზეთი „ივერია“. ეს დღე შეუმჩნევლად დარჩა. ხმა არ ამოუღია თვითონ „ივერიას“, გაჩუმებულნი იყვნენ სხვა გაზეთებიც—ქართული, სომხურიც და რუსულიც; საზოგადოებას ხომ არაფერი შეუნიშნავს და არა. რად?

რაც უნდა ვემდუროდეთ დღეს „ივერიას“, რაც უნდა უსიამოვნებას იწვევდეს ჩვენში მისი უკანასკნელი წლების მოქმედება (უკეთ, არ-მოქმედება),—მისი ოცდა ხუთის წლის მოღვაწეობა ჩვენის ცხოვრებისათვის უმნიშვნელო და უნაყოფო არ იყო! მისი სულის ჩამდგმელი რამდენისამე წლის განმავლობაში იყო ერთი საუკეთესო ქართველთაგანი; იყო დრო, როდესაც „ივერია“ ესაუბრებოდა მკითხველის სულს და გულს...

ქართული პრესა იმდენად ღარიბია, რომ ქართულის გაზეთის 25 წლის არსებობა არის ყურადღების ღირსი. გაზეთი ენაა საზოგადოებისა, სხვა და სხვა საზოგადოებრივ წრისა. ქართველებს სულ სამი გაზეთი გვაქვს, სამი ორგანო საზოგადოებრივ აზრის გამოსათქმელად. ეს ძლიერ ცოტაა, და უნდა ვაფასებდეთ ყოველის გაზეთის არსებობას. ადამიანი ვითარდება საზოგადოებაში, საზოგადოებრივი აზრი ირკვევა, მაგრდება და მტკიცდება სხვა საზოგადოებრივ აზრებთან შეტაკებით, ყოველი გაზეთი წინ მიდის და ვითარდება სხვა გაზეთების წრეში.

სწორედ, ჩვენ უნდა ვაფასებდეთ ერთმანეთს!..

—

პირველ მაისს „ივერია“ განახლდა, ელფერი იცვალა. ეს მეორე განახლებაა მისი ამ მოკლე დროში: პირველად იგი წარსულ დეკემბრის 15-ს შეიცვალა. სასიხარულოა: გაზეთს ეტყობა მეცადინეობა, ცდა-გაუკეთესებისა და გაუმჯობესებისათვის. ეტყობა, თვითონაც ხედავს, რომ საჭიროა გამოცვლა იმ გზისა, რომლითაც იგი ამ უკანასკნელ წლებში ვიდოდა.

გულ-წრფელად მივესალმები ამ განახლების სურვილს: გაზეთი თუ მთლად არ გამოიცვლება, გაუკეთესდება მაინც. კეთილი იყოს თქვენი გზა!

რითია საზოგადოება უკმაყოფილო, რა არ იყო ამდენ ხანს „ივერიაში“? ყველაზედ უწინარეს—სიცოცხლე! რა მიმართულებისაც უნდა იყოს გაზეთი, იგი უნდა იყოს ცოცხალი და ახალი, ახალი და ახალი! გაზეთის არსებობას არა აქვს აზრი, თუ არ აწვდის მკითხველს მუდამ ცხელ-ცხელ ამბებს და ცნობებს ყოველ მხრიდან, არ უმარტავს მას ყოველს ახალს მოვლენას, პასუხს არ აძლევს ყოველს ახალს კითხვაზე. გაზეთს, რომელსაც არა აქვს **ახალი ამბავი** (ვიხმაროთ ეს სიტყვა ვრცლად და საუკეთესო აზრად), არავინ არ წაიკითხავს. **გაზეთი** და **ახალი ამბავი** სინონიმებია!

„ივერია“-კი თითქოს განგებ აგვიანებდა ყველაფერს და იმ აზრს მისდევდა: სულ ერთია, გინდ დღეს გაგვიგია და მიგვილია პასუხი, გინდ ხვალ.

ეს საზოგადოდ ხასიათის ნაკლულევანებაა. არის მეორე საგანი—რა მიმართულებისაა „ივერია“?

ყოველი ჩვენი გაზეთი თუ ჟურნალი ქართულია, მაგრამ „ივერია“ **ნამდვილი** ქართული გაზეთია (მისის აზრით). ქართველობა—ეს ის დაწესებულებაა, სადაც „ივერიელებს“ გადააქვთ ყოველგვარი აპელაცია და კასაცია. მე ქართველი ვარ—ეს უმთავრესი არგუმენტია მათთვის!

ფელეტონი

—

ქუთაისის წყლისაყვანი

I

არა ვგონებ, თუ მოიპოვება მთელს კავკასიაში სხვა ქალაქი ასე ღარიბი და ჩამორჩენილი, როგორც ქუთაისი. დავიწყოთ ქუჩებიდან; წვიმა-ზამთარში ეს ქუჩები ემგზავსებიან საშინელ ჭაობს და ტბორებს, სადაც ზოგიერთ ალაგს მკერდამდე იფლობა ცხენი და ხარ-კამეჩი, ქარში კი ისინი გვაგონებენ თავის უსაზღვრო მტვერით სახარას უდაბნოს; და რადგან ქუთაისში ექვსი თვე წვიმს და ექვსი თვე ნიადაგ ქარია, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა საამურ სასეირნოს წარმოადგენენ მისი ეგრედ წოდებული ქუჩები. განათება ხომ საოცარია და საოცარი.

ქუჩებს შენი ჭირი წაუღია, მკითხველო; ახლა შეიხედეთ რა ხდება ფურნე-საყასპოებში. ცომი, ბინძურად ნამზადი პური და ბებერის გამხდარი საქონლის დაავადებული ხორცი,—აი ქუთათურის მუდმივი სურსათი და სანოვაგე! ნიხრი არ არსებობს ქუთათურ ყასბისთვის; ეს თავგასული არსება ქმნის თითონ თავის ნიხრს და 6 კაპეიკის და ორი შაურის ნაცვლად მიაქვს გირვანქა ხორცში 12 და 13 კაპ.; მასთან ასეთ რამეს დააწონის, რომ კაი ერთგული ძაღლის კბილებიც კი შეგებრალება იმ უცნაურ „დავესკას“ საგლეჯად.

— ნეტა რას შვრებიან ქალაქის მამებიო, იკითხავს მკითხველი.

არაფერს, ჩემო ბატონო; ისინი შეგროვდებიან საბჭოში დინჯად ყოველ ორშაბათს, საღამოს ცხრა საათზე და კვლავ დინჯად ბრუნდებიან შინ 11 საათზე. ხშირად არც ამისთვის სცალიათ და არა იშვიათად საბჭოს შიკრიკნი ეძებენ ხოლმე მათ დუქნებსა და თეატრში, რომ კანონიერი რიცხვი შეადგინონ სხდომის მოსახდენად.

II

ჩვენ კიდევ ბევრს სანუკარ რამეებს ვიტყოდით ქუთაისის ცხოვრებიდან, მაგრამ აქ არაა მათი ალაგი, გადავდოთ შემდეგისთვის; ჩვენ ისედაც გადავცდით უმთავრესს საგანს. მსურს მკითხველის გულის ყური მივაპყრა წყლისაყვანს; ჯერ ვსცნოთ თუ რას სვამს დღეს ქუთაისი.

— უხსოვარ დროთაგან ქუთაისი საზრდოობს რიონის წყლით. გავიდნენ წლები და საუკუნენი, ხალხი გამრავლდა, ქალაქი გაიზარდა, ქუთაისის სიმყრალემ და სიბინძურემ მოწამლეს ეს სალი მდინარე; ცქრიალა რიონი გარდიქცა ურიის და ქრისტიანის სანაგვე არხად. და აი ეს გახლავთ იმერეთის სატახტო ქალაქის მუდმივი სასმელი. მოწამლულმა წყალმა ცუდათ იმოქმედა მცხოვრებთა ჯანმრთელობაზე და გაავრცელა ბრტყელი ჭია, ხურება, ხუნაგი, კისერა და სხვა გადამდები სენი; ეს ნათლად დაამტკიცა ექიმთა გამოკვლევამ. წყალის დიადი მნიშვნელობა ჰიგიენაში დღეს საანბანო ჭეშმარიტებაა.

ამ გარემოებამ, როგორც იყო, გაალვიძაქუთ. ქალაქის საბჭო, მან მოიფშვნიტა თვალები და კიდევ 1892 წლის დამლევს აღძრა კითხვა, თუ რა-რიგ ჰკვებოს ქალაქი სალი წყლით. უნდა გამართულიყო წყლისსავანი (agieduc) ან რიონიდან ან რომელიმე წყაროდან. დაინიშნა კომისია ინჟენერებიდან. მათ გამოიკვლიეს ყველა წყაროები ქალაქის 10—15 ვერსტზე ყოველი კუთხით. მათში ყველაზე უფრო სამნიშვნელონი აღმოჩნდნენ: 1) ცხრა-თავა; 2) მერიას ღელე; 3) ცივ-წყალი; 4) გრუდო; 5) ფაცრის-წყალი; 6) კაპჭინაშვილის წყალი და სხვ. კომისიის გამოკვლევით ხუთი ამ წყაროთაგანი იძლევა შედარებით ცოტა წყალს, მეექვსე კი ე. ი. მერიას ღელე ისე შორსაა და ძნელად გამოსაყვანი, რომ მოითხოვს მეტად დიდ ხარჯებს; ამიტომ კომისიამ სცნო უფრო საზიანოდ წყლის გამოყვანა თვით რიონიდან. ამის გამო აღებულ იქმნა სხვა-და-სხვა ალაგიდან ცხრა ნიმუში რიონის წყლისა და გაიგზავნა ბორჯომის ქიმიურ ლაბორატორიაში; ანალიზის შედეგი კი დასასკვნელად გაუგზავნეს ოდესაში პროფესორ პეტრიაშვილს, რომელმაც გამოგზავნა შემდეგი პასუხი:

— „ჯერ ხანად მეცნიერებს არა აქვს ახსნილი სრულის სინამდვილით, თუ რა თვისების უნდა იყოს როგორც სასმელი, ეგრეთვე ტეხნიკურ მიზნისთვის საჭირო წყალი. მიუხედავათ ამისა ბრიუსელის და შვეიცარიის საჰიგიენო კომისიებმა, ეგრეთვე მეცნიერ ტიმანმა და ჰერტნერმა შეიმუშავეს ძირითადი წესი, რასაც უნდა ემორჩილებოდეს სასმელი წყალი და რა საზღვრამდე უნდა ადიოდეს მისი მინერალური და ორგანიული ნივთიერებანი. აქ მომყავს შედარებითი სხემა:

ნივთეულთა რაოდენობის საზღვარი ერთ ლიტრ წყალში მილიგრამებათ.	ბრიუსელის კომისიის.	შვეიცარიის კომისიის.	ტიმანის და ჰერტნერის.	ნივთეულთა რაოდენობა რიონის წყალში.	
	მილიგრამი.	მილიგრამი.	მილიგრამი.	მილიგრამი. წმინდაში,	უწმინდურში.
მარგანეცის მჟავე კალის რაოდენობა ერთი ლიტრი წყლის სამჟავებლად	10	10	8—10	4	7—18
ამიაკი	0,05	0,02	0,ანუ კვალი	კვალი	1—15
აზოტური სიმჟავე	0,0	—	0,ანუ კვალი	არაა	კვალი
აზოტის სიმჟავე	2,0	20	5—15	არაა	კვალი
ხლორი	8,0	20	20—30	7	8—16
გოგირდის სიმჟავე	60	—	80—100	12	14—19
მაგარი ლექი	500	500	500	151	160—225
სიმკრივე ნემეცურ გრადუსით	20⁰	—	18—20	—	—

ამ შედარებით ნათლად სჩანს, რომ რიონის წყალი თავის თვისებით სრულად აკმაყოფილებს სასმელი წყლის მოთხოვნილებას და იგი ბევრჯერ უკეთესია იმ ნორმაზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა არის ეგ ნამდვილი ქართველობა?.. იქმნება წარსულის პირას ჯდომა და ტირილი და გოდება? ან ძველის ნანგრევებით აღტაცება? ან ძველის ხელთნაწერების სიბრძნის სალაროდ აღიარება! ან იმის ქადაგება, რომ წარსულში იყო სიკეთე და სიკარგე და არ ყოფილა სიბოროტე და სიავე, რომ იქ არის დამარხული ჩვენი **ყველაფერი**, იქ უნდა ვეძიოთ ჩვენი ბედნიერება, წარსულს უნდა შევაჩერდეთ?..

არა!

ჩვენი კეთილდღეობა და მომავალი ევროპაა და არა წარსული საქართველო! უნდა ვიცოდეთ ჩვენი წარსული, თავის თავის ცოდნა ადამიანის ბუნებაა; უნდა ვიცოდეთ ენა, რომლითაც ვსწერთ, რადგან უამისოდ შეუძლებელია კავშირი ხალხთან; მადლობით უნდა ვიხსენიებდეთ იმ ქართველ მოღვაწეებს, რომელთაც თავის შრომით და ოფლით კულტურა მოგვცეს, ღრმად პატივს უნდა ვსცემდეთ იმათ სახელებს, ვინც თავის გმირულის თავგამოდებით დაიცვეს ჩვენი უფრო მაღალი კულტურა უფრო დაბალის კულტურისაგან, ვინც, სხვა რომ არა იყოს რა, დაგვიცვეს ფიზიკური არსებობა!.. არ შეგვიძლია სიყვარულით არ მოვიგონოთ ისინი!

მაგრამ წარსულში თუ იყო ისეთი მაგალითები, რომლებსაც უნდა მივბაძოთ, წარსულში იყო ბევრი ისეთი რამეც, რომელიც დღეს ჩვენში მხოლოდ ზიზღს იწვევს: სხვათა შორის, აი რას სწერს ერთი პატრი მე-XVII საუკუნეში: „უმანკო ბავშვებს, ვაჟებს თუ ქალებს, სავაჭრო მოედანზე ჰყიდიან ოხერ ფასად, რათა მით დააკმაყოფილონ ოსმალების უწმინდური მადა. გვესმის და ვხედავთ მათ ყვირილს და ტირილს. ამ დროს ზოგი მდინარეში თავს იგდებს, ზოგი თვალებს ითხრის და ზოგიც ცხვირს იჭრის, რათა უწმინდურთ აღარ იყიდონ“...

ყველაფერს ჯეროვანი და შესაფერი პატივი ვსცეთ და უმთავრესი ჩვენი ყურადღება მივაპყრათ ევროპას: იქიდან მივიღოთ ცოდნა და იდეალები, ეროვნება ის ბუნებრივი წრეა, რომელშიაც უნდა აღმოცენდეს ადამიანური, ევროპიული კულტურა, მაგრამ თუ ამ წრის მნიშვნელობას უზომოდ გავაზვიადებთ, ძლიერ შევზღუდავთ მას, მაშინ კულტურის აღმოცენებაც და ზრდაც ყოვლად შეუძლებელი შეიქნება და ხელში შეგვრჩება მარტო უსულო, უღონო და უშინაარსო ეროვნული ფორმა!..

„ივერიას“ რამდენჯერმე უთქვამს, მე ყველა ქართველის ინტერესებს ვემსახურებიო, თითქოს ყველა ქართველი, წრე ჲ ჯგუფი სამართლიანი ან ერთგვარად სამართლიანი იყოს! მე ხალხი მიყვარსო, მაგრამ მის ფურცლებზე არა ერთხელ გვინახავს ფეოდალური ფიქრები. ეს გზა ბოროტი და მავნე გზაა!

დღეს ვინც ხალხის მომხრე არაა, ის ისტორიის წინააღმდეგია; მას ისტორია შემუსრავს და გაანადგურებს უმოწყალოდ!.. ხალხი უნდა იყოს ჩვენთვის მუდამ საფიქრებელი და საგონებელი!..

სიცუვა

საზღვარ-გარედ

საშინელი კატასტროფა მარტინიკის კუნძულზე. გაზეთ „ტან“-ში ასე აწერილია ეს უმაგალითო უბედურება: 3 მაისს (ახალის სტილით) ვულკანი დღისით დაიფარა სქელის ღრუბლებით და ღამით ალს ისროდა. ამ მოვლენებს თან მოჰყვა მიწისქვეშეთის გუგუნი. ცა ღამე დიდ მანძილზე ცეცხლ მოკიდებული სჩანდა. ხალხი აშფოთებული და შეშინებული იყო. 4 მაისს ვულკანი დაფარული იყო ცხელ ფერფლის წვიმით, რომელმაც დაჰფარა სენ-პიერის მთელი ოლქი. 5 მაისს, შუადღეზე, ვულკანიდან (4400 ფუტის სიმაღლეა) წამოვიდა საშინელი მხურვალე ლავა (გადნობილი ნივთიერებანი) აუწერელის სიჩქარით: სამ წუთში მან გაიარა ხუთი მილის მანძილი; გზაზე რაც დახვდა—პლანტაციები, შენობები, საწყობები, თუ ცოცხალი არსებანი, ყველაფერი წალეკა. გერენის შაქრის დიდის ქარხნისა მოსჩანდა მხოლოდ მაღალი ფეჩის თავი: სხვა ყველაფერი მოისპო; აქ დაიღუპა 150 სული, მათ შორის გერენის შვილიც.

გამაღებულ ლავას გზა დაუთმო ზღვამაც.—300 ფუტზე გაიწია ნაპირიდან, მაგრამ ისევ დაბრუნდა და საშინელის ძლიერებით დაეჯახა ნაპირს. საშინელი აფეთქების ხმა ისმოდა ხშირად, მაგრამ არა რეგულიარულად.

ასე გაგრძელდა მთელი ღამე. საშინელმა სიბნელემ მოიცვა მიდამოები; მაგრამ ხანდახან ვულკანის ალი ჰფენდა საბედისწერო სინათლეს სენ-პიერს. გონება დაბნეული და თავზარ-დაცემული მცხოვრებლები მთებისაკენ გარბოდნენ.

პლისონის (გემების მეპატრონეთა აგენტი) ოჯახი გადარჩა პატარა გემზე და მოვიდა სენ-ლიუსიში. პორკასტრიში მისულა 6 მაისს 35 გადარჩენილი ქალი და ბავშვი. აი ამ პირებმა მოიტანეს ზემოხსენებული ამბავი. კაცები მარტინიკში დარჩენილიყვნენ. 6 მაისს გაწყვეტილა სატელეგრაფო მავთულები სენ-ვინსენტსა და მარტინიკს შუა.

8 მაისს ნაშუადღევს კასტრის ნავთ-სადგურში ნელ-ნელა შემოდიოდა რაღაც საოცარის ფორმის გემი; იგი რაღაც მოჩვენებას ჰგავდა ფერფლით დაფარული. თოკები, იალქნები, ყველაფერი დამწვარ მჩვრების სახით ეკიდა გემს. იგი—„როდამ“-ი (ერთად-ერთი გადარჩენილი გემი) იყო.

„როდამ“-ის კაპიტანმა სთქვა, რომ დიდ ქარიშხალის გამოვლის შემდეგ იგი მიადგა თავის გემით დილის რვა საათზე სენ-პიერის რეიდს. დილას ამინდი მშვენიერი იყო. კაპიტანი ელაპარაკებოდა ყოზეფ პლისონს (გემის პატრონის აგენტს), რომელიც ნავში იჯდა გემის ახლო. უცბად ცეცხლის წერტილებითა და ალით აჭრელებული უზარ-მაზარი ღრუბელი წამოვიდა ქალაქისაკენ და წარმოუდგენელის სისწრაფით დაჰფარა იგი ნავთ-სადგურთან ერთად. მთელ ქალაქს ცეცხლის ალი მოედო და „როდამ“-ზე ცეცხლის წვიმა მოდიოდა. ყოზეფ პლისონმა ძლივს მოასწრო გემზე ამოსვლა, ისე მალე დაიძირა მისი ნავი. ბევრი მეზღვაური იქვე იმწამსვე დაიხოცნენ. არა ადამიანურ ძალის მოხმარებით, როგორც იქმნა გადასჭრეს თოკი, რომელიც რეიდზე ამაგრებდა გემს, და „როდამ“-იც გავიდა ნავთ-სადგურიდან. ცხრა საათის მგზავრობის შემდეგ გემი პორ-კასტრიში მოვიდა. გემის ბაქანზე სქლად დაყრილ ფერფლში ათამდე რაღაც უფორმო დამწვარი საგნები ეყარა: ეს მკვდრები იყვნენ; ორი მეზღვაური კიდევ მოკვდა დამწვრისაგან. ცეცხლის წვიმა მოსდევდა „როდამ“-ს ექვსი მილის მანძილზე. კაპიტანი მძიმედ არის დამწვარი და პლისონი კიდევ უფრო: ჰფიქრობენ, რომ პლისონი ერთად-ერთი გადარჩენილია იმ პირთა შორის, რომელნიც დარჩნენ სენ-პიერში კატასტროფის მოახლოვების პირველ ნიშნების შემდეგ, რადგან ქალაქი და გემები სრულებით მოისპო.

პირველად დაიღუპა გემი „გრაპლერ“-ი, შემდეგ „რორაიმა“. როცა ეს უკანასკნელი იღუპებოდა საშინელ აფეთქების დროს, მისმა კაპიტანმა „როდამ“-ის კაპიტანს გამომშვიდობების სალამი მისცა.

„როდამ“-ის გადარჩენილი მეზღვაურები დიდის ქებით იხსენიებენ თავიანთ კაპიტანის გმირობას: თუმცა მას ხელები დამწვარი ჰქონდა, მაგრამ გემის საჭე თვითონ მას ეჭირა ხელში ამ საშინელების დროსაო.

ინგლისელი გემი „ტეგ“-ი 9 მაისს, საღამოს ათ საათზე მარტინიკიდან ხუთი მილის მანძილზე იყო და ბევრი ნიშნები აძლია, თუ ვინმე იყო კუნძულზე, მაგრამ ამაოდ: არავითარი პასუხი არ მიუღია. მთელი ნაპირი უზარმაზარ სადნობელ ქურას წააგავდა. ერთი ნავიც გაგზავნეს ნაპირისაკენ, მაგრამ ისეთი სიცხე თურმე იყო, რომ ნაპირზე გადასვლა ვერ შესძლეს. ნავი ორი საათის განმავლობაში მიდი-მოდიოდა ნაპირების ახლო, მაგრამ ერთი ცოცხალი არსებაც კი ვერ შეემჩნიათ. ისმოდა ძლიერი აფეთქება. მიუხედავად კარგის მანძილისა, გემ „ტეგ“-ზედაც მოდიოდა თურმე ცხელი ფერფლი.

დღეს (10 მაისს) ნაშუადღევს ფორტ-დეფრანსიდან მოვიდა პორტ-დე-კასტრში ერთი პატარა გემი დახმარების სათხოვნელად და თან ამბავი მოიტანა, რომ მთელი მინდვრები გადამწვარია; საქონელი წყდება, ნათესებიც მოსპობილია. გლეხები ქალაქებისაკენ გარბიან. ეშინიათ შიმშილობისა. სენ-პიერთან ახლოს ვერ მიდიან ცეცხლის მიზეზით. დანახვით მხოლოდ ის დაინახეს რომ ქალაქის ქუჩები სავსეა დამწვარის ხალხით და სახლებს კიდევ ცეცხლი უკიდიათ. ეჭვი აღარ არის, რომ მთელი ქალაქი და მისი მიდამოები რამდენიმე მილის მანძილზე სრულებით მოსპობილია. მცხოვრებთაგან ძალიან ცოტა უნდა გადარჩენილიყოს. სენ-პიერი ეხლა მხოლოდ ნანგრევებისა და დამწვრების გროვაა და ეს მოხდა სულ მეოთხედ საათის განმავლობაში.

დაღუპულების რიცხვი 40,000 არ უნდა იყოს. მარტინიკის მთავრობის მოხსენებით, ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი 26,000 იყო და ამიტომ დაღუპულების რიცხვი ამაზე ცოტა ნაკლები უნდა იქმნეს.

ახალი ამბავი

✦ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ერთ-ერთ წევრს განუცხადებია საზოგადოების საბჭოსათვის, საჭიროა მალე იქმნას განხილული და შემუშავებული ის დადგენილება-საკითხები, რომელნიც შარშან აღიძრა ტფილისში **სხვა-და-სხვა სამეურნეო კრებებზეო**; განსაკუთრებით საჭიროა დაუყოვნებლივ განხილულ იქმნას ბ. ზავაროვის პროექტი ამიერ კავკასიაში მიწის იჯარის საქმის შესწავლისაო.

✦ 12 მაისს, დილით, ვეტცელის სასტუმროში დანიშნულია კერძო კრება ტფილისის **მესამე საარჩევნო ნაწილის** ამომრჩეველებისა; კრებამ უნდა განიხილოს კომიტეტისაგან შედგენილი ხმოსანთა კანდიდატების სია.

✦ კვირას, 12 მაისს, ავლაბრის სამრევლო სკოლის შენობაში დანიშნულია კერძო კრება ტფ. **მეორე საარჩევანო ნაწილის** ამომრჩეველებისა; კრებამ უნდა განიხილოს კომიტეტისაგან შედგენილი სია ხმოსანთა კანდიდატებისა.

✦ 7 მაისს, დილით, ტფილისიდან ყირიმს წავიდა ტფილისის გუბერნატორი ბ-ნი **სვეჩინი.**

✦ გუშინ ვაუწყეთ მკითხველთ თავ. დ. ა. გურამიშვილის ქალაქისადმი წინადადება **ქუჩების** გალკინის სისტემის ფარნებით **განათების შესახებ**. ამ ამბის დასამატებლად გვაცნობებენ კიდევ შემდეგს: თავ. გურამიშვილი უცხადებს გამგეობას, რომ, თუ ქალაქს ეძნელება 25 ათასი მანეთის დახარჯვა 100 ფარნის შესაძენად, მაშინ კონცესია მისცეს საზოგადოებას 12 წლით და იგი თვით აწარმოებს ამ საქმეს. თ. გურამიშვილის გამოანგარიშებით, ქალაქს ყოველ წლივ 65 ათა-

---

რომელიც აღნიშნულია საყოველთაოდ“.

III

კამისიების გამოკვლევამ და საბჭოს კამათმა გასტანეს შვიდ წელიწადს.—ხომ იცით ჩვენში ჩქარა არაფერი კეთდება! 17/21 მაისს 1899 წელს ქალაქის საბჭომ დაადგინა იხელმძღვანელოს პროფესორ პეტრიაშვილის აზრით, კომისიის მოხსენებით და შეჩერდეს მხოლოდ რიონის წყალზე. შემდეგ საბჭო მთელი ექვსი თვის განმავლობაში შეუდგა იმ ფიქრს, თუ რა საშუალებით გაემართა წყლისაყვანი: მთავრობის სესხით, ობლიგაციური სესხით თუ კონცესიით. დაადგინეს ეთხოვოს მთავრობას ხანგრძლივი უპროცენტო კრედიტი 300 000 მანეთისა, რომლის დაფუქვა უნდა დაწყებულიყო ხუთი წლის შემდეგ სესხის მიღებიდან. ამგვარი დადგენილებისა თითონვე შეეშინდა დარბაისელ საბჭოს, ამიტომ მოშალა იგი და ორჯერ დაბეჭდა ადგილობრივსა და რუსეთის გაზეთებში კერძო კაპიტალისტთა ჲ პირთა მოსაწვევი განცხადებანი. შედეგად მოყვა ოთხი წინადადება: 1) ოლშევიჩის და კერნის ფირმის წარმომადგენელთა, პასეკის და ნიკოლაიჩუკის წინადადება, 2) ჰამბურგის allgemeine stadteveinigundsgesellschaft ის აქციონერულ საზოგადოების წარმომადგენლის იანცენის, 3) ინჟინერ სმეკერის წარმომადგენლის და 4) სამთო ინჟინრის ა. დ მიხაილოვისა. პირველის წინადადება იყო ობლიგაციური ხასიათისა; მასთან იგი ჰპირდებოდა ქალაქს როგორც წყლის საყვანის გამართვას, აგრეთვე ელექტრონის განათებას. დანარჩენ სამ წინადადებას კი ჰქონდა კონცესიური ხასიათი. დიდი კამათის და ფიქრის შემდეგ საბჭომ სცნო უფრო ხელსაყრელად ბ. მიხაილოვის წინადადება, მიიღო იგი და წარუდგინა თავის მოსაზრებით ქუთ. სამხედრო გუბერნატორს და შემდეგ ქუთ. გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოს, რომელმაც სცნო საგულისხმოდ ქალ. საბჭოს მოსაზრებანი შესახებ ბ. მიხაილოვის პროექტისა და მიუთითა შესაცვლელად და დასამტკიცებლად მხოლოდ რაოდენიმე მუხლზე. ყოველივე ეს მიიღეს როგორც ქალ. საბჭომ, აგრეთვე თვით მიხაილოვმა 17 იანვარს 1900 წელს და 22 ივლის 1901 წელს მოაწერეს ხელი პირობას.

იგივე პროექტი სცნო საგულისხმოდ და დაამტკიცა ცოტა ოდენი შეცვლით უმაღლესმა მთავრობამ. აქ მოგვყავს მოკლედ უმთავრესი მუხლები ქალ. საბჭოსა და ინჟ. მიხაილოვს შორის შეკრული პირობისა:

1) მიხაილოვი და კ-ნია მოვალეა გამართოს თავის ხარჯით ქუთაისში წყლისსაყვანი, რათა ახმაროს მცხოვრებთ დღეში 350.000 ვედრამდე კარგი ღირსების წყალი.

2) წყალი უნდა იყოს ამოღებული რიონის მარჯვენა ნაპირიდან ქუთაისს ზემოთ მეორესა და მესამე ვერსის შორის, რა მანძილიც უნდა აღინიშნოს ჯაჭვის ხიდიდან შოსეზე.

3) რიონის წყლის გასაწმენდათ უნდა იყოს გამართული საჩერებელი აუზი და სილის ფილტრი.

შენიშვნა: ქიმიური ლაბორატორია უნდა აგოს კონტრაგენტმა, ხოლო თავის ჯიბიდან უნდა დაადოს მას მხოლოდ 1000 მანეთამდე, დანარჩენი ხარჯები ქალაქისაა, რომელსაც გამოექვითება ეს ფული წყლისაყვანის ექსპლოატაციის გამო ყოველ წლიურ მისაღებ თანხიდან.

4) ამ თავითვე აგებული ფილტრები უნდა იძლეოდნენ დღეში არა ნაკლებ 150.000 ვედრო წყალს და შემდეგ თან-და-თანობით უნდა უმატოს კონტრაგენტმა ფილტრის სივრცე.

5) წყლის საქანელი მანქანის წარმოება ამ თავითვე უნდა იყოს არა ნაკლებ 150.000 ვედროსი 22 საათის მუშაობით. შემდეგ კი მოთხოვნილების და გვარად დაიდგმის კიდევ ახალი მანქანები.

6) ქალაქის გამგეობა მოვალეა უჩვენოს ადგილი და გაამართვინოს სათადარიგო (დამზევი) აუზი 100.000 ვედრისა ან არქიელის მთაზე ან სხვა ადგილას, რომლის სიმაღლე არ უნდა დაიდეს 36.5 საჟენს დაბლა თეთრი ხიდიდან.

7) საქანელი მანქანისა და დამზევი აუზის შემაერთებელი მთავარი მილის დიამეტრი უნდა იყოს 12 დიუიმი.

8) ქალაქის მილთა და სოლინართა სივრცე ამ თავითვე უნდა იყოს არა ნაკლებ 18½ ვერსტისა. მასთან კონტრაგენტი მოვალეა ყოველ ორ წელში უმატოს არა ნაკლებ 250 საჟენის სიგრძე ოთხ დიუიმიანი სოლინარები.

9) ყოველ 50 საჟენზე ქალაქის მილებზე უნდა იყოს გამართული ხანძარის ონკანები (пожарные краны).

11) სრული პროექტი წყლისაყვანისა და მოხატულობანი კონტრაგენტმა უნდა წარუდგინოს საბჭოს არა უგვიანეს ექვსი თვისა ამ პირობის ხელის მოწერიდან.

12) როგორც კი დამტკიცებული პროექტი დაუბრუნდება კონტრაგენტს, იგი მოვალეა დაასრულოს ორი წლის განმავლობაში ყოველივე მუშაობანი და იწყოს წყლისაყვანის მოქმედება.

16) მუშაობის დროს კონტრაგენტი მოვალეა არ წაახდინოს სახაზინო, ქალაქის და კერძო ქონებანი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სრული პასუხის მგებელია ყოველივე მომხდარ ზარალში.

17) წყლისაყვანის მიერ გამოწვეულ მუშაობაზე ქალაქის გამგეობამ უნდა იქონიოს ზედამხედველობა და უნდა ასრულდეს მისი ყოველივე კანონიერი მოთხოვნილებანი.

18) ქალაქის გამგეობა უთმობს უფასოდ კონტრაგენტს საკონცესიო ვადის განმავლობაში თავისუფალ ადგილებს აუზების, სახელოსნოს და საწყობის გასამართად. აგრეთვე ქუჩებსა და ფორებს (მოედნებს) წყლის მძლეველ ონკანების და კიოსკების დასადგმად, რომელთა რიცხვი უნდა იყოს არა ნაკლებ 15-ისა.

22) კონტრაგენტი აძლევინებს ქალ. მცხოვრებთ ყოველ 100 ვედრო წყალში არა უმეტეს ხუთი შაურისა.

23) კონტრაგენტი მოვალეა აძლიოს წყალი ჯარებს, საპყრობილეს, ქსენონებს და სამკურნალოებს ნახევარ ფასად, ე. ი. 100 ვედრო 12½ კაპეიკად.

25) ქუჩების, ფორების, ქალ. ბაღების და ბულვარის სარწყავად ქალაქს შეუძლია უფასოდ იხმაროს წყალი პირველ წელს 30.000 ვედრო დღეში და შემდეგ წლებში ემატება კიდევ ყოველ წლივ 750 ვედრო დღეში.

26) კონტრაგენტი მოვალეა გამართოს ბულვარში თავის ხარჯით შადრევანი და ახარჯოს დღეში 3000 ვედრო წყალი, ამგვარივე შადრევანი უნდა გამართოს აგრეთვე ქალაქის გაღმა ნაწილშიაც, როცა იქ გაკეთდება ქალ. ბაღი.

27) ხანძარის (ცეცხლის) საქრობათ ეძლევა უფლება ხანძარის კამანდას და კერძო პირთ იღონ წყალი უფასოდ ყველგან, რამდენიც სურთ.

28) კონტრაგენტი მოვალეა გამართოს ქალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამდე მან. ეკონომია ექნება ელექტრონით განათებასთან შედარებით, თუ გალკინის სისტემის კეროსინის ფარნებით გაანათებს მთელს ქალაქს.

◆ ორშაბათს, 13 მაისს, მოხდება სხდომა **სამრეწველო გადასახადის** გამწერ საკრებულოსი, რომელმაც 20-ზე მეტი საჩივარი უნდა განიხილოს ამ გადასახადის გაწერის შესახებ.

◆ „ნოვ. ობოზრ.“-ს ატყობინებენ ბათუმიდან, რომ იქაურ სადგურზე საქონლის გადამზიდავ **მოიჯარადრესა და მის მუშებს შუა** ეს სამი დღეა დიდი **უთანხმოება** ჩამოვარდაო. მუშებმა საჩივრით მიჰმართეს გუბერნატორს. ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსმა საქმის გამოსაძიებლად გაგზავნა მოძრაობის ნაწილის უფროსის მოადგილე ა. მ. ბულგაკოვი.

◆ იმავე გაზეთის სიტყვით, ტფ. საოლქო სასამართლომ **შეიწყნარა** სოფ. ცახის (რაჭის მაზრა) მცხოვრების გლეხის მეტონიძის **საჩივარი** და მიუსაჯა მას რკინის გზების სამმართველოსაგან 7500 მანათი; მეტონიძე რკინის გზაზე მუშაობდა და ლოკომოტივმა თვალები დაუშავა.

◆ დღეს, 9 მაისს, საღამოს, ტფილისის საქალაქო სასწავლებელთა გამგე-კომისია, სხვათა შორის, განიხილავს ბ. ფირუმოვის მოხსენებას იმის შესახებ, რომ ქალაქის ყველა სასწავლებლებში შემოღებულ იქმნას პერიოდულად **ლექციების კითხვა ჰიგიენის შესახებ.** ამავე სხდომაზედ კომისიას განსახილველად წარედგინება სასწავლებელთა ექიმების მოქმედების ანგარიში გასულ **წლის განმავლობაში.**

◆ „კავკაზ“-ის სიტყვით, „კავკასიაში მართლ-მადიდებლობის აღმადგენელ საზოგადოების“ სკოლებს სოფ. ფარში (ლეჩხუმის მაზრა) და სოფ. კორნისში (გორის მაზრა) უმაღლესად ებოძათ სახაზინო მიწები—პირველს აგარაკი „ლიკირტა“ ერთი დესეტინა, მეორეს ათი დესეტინა სოფ. ბეკმართან; ამ მიწებით სკოლებს შეუძლიათ ისარგებლონ, სანამ არსებობენ.

◆ გუშინ ტფ. საქალაქო გამგეობაში ვაჭარმა ს—მა წარადგინა გასანაღდებლად ერთი კუპონი შარშან საქალაქო კასსიდან **მოპარულის ობლიგაციისა.** აღმოჩნდა, რომ ს-თვის კუპონი მიეყიდა ვაჭარს ბ—ს, რომელმაც განაცხადა, კუპონი პუშკინის ქუჩაზე ვიპოვეო. გამოძიება სწარმოებს.

◆ ადგილობრივ სასულიერო მთავრობას გადაუწყვეტია დახუროს ამაღლების ეკკლესიასთან (სოლოლაკში) არსებული **სამრევლო სკოლა** და სამაგიეროდ ქალაქის სხვა რაიონში გახსნას.

◆ რკინის გზის ტფ. სამკურნალოს ექიმი **ნ. ვ. ხუდადოვი,** რკინის გზების სამმართველოს განკარგულებით, ადესაში მემგზავრება, რათა დაესწროს რუსეთის რკინის გზების ექიმების საზოგადო კრებას.

◆ 7 მაისს, საღამოს, სხდომა ჰქონდა კავკასიის **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს.** წვრილმან მიმდინარე საქმეების განხილვის შემდეგ საბჭომ მოისმინა ისაკ დანდუროვის ცნობილ საჩივრის საქმე; განიხილა კავკასიის გამოფენის ყოფილ კომისარის თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილის მიერ წარდგენილი საბუთის ქაღალდი, საიდანაც სჩანს, რომ ხელწერილი მიუცია მას დანდუროვისათვის არა როგორც სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელს, არამედ როგორც გამოფენის გასართობთა მომწყობელ კომისიის რწმუნებულს; საბჭომ გადასწყვიტა განასაჩივროს ტფ. ოლქის სასამართლოში მომრიგებელ მოსამართლის განაჩენი. ამავე სხდომაზე საბჭომ დაადგინა, თანახმად სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრების გადაწყვეტილებისა, წარუდგინოს უმაღლეს მთავრობას მუღანლოს მინდვრების სარწყავ არხების გაყვანის პროექტი ინჟ. მეიერისა.

◆ დაღესტნის ოლქში მივიდა მიწადმოქმედების სამინისტროს მოხელე როსლიკოვი, რომელსაც დავალებული აქვს მოაწყოს **გალიის გაწყვეტის საქმე** შლეიფურტის სითხით.

◆ ტფ. პოლიციის ცნობებით, გასულ აპრილის განმავლობაში ტფილისში მოხდა: კაცის დაჭრა—1, უბედური შემთხვევა—4, ქურდობა—14, ბავშის მიგდება—2, გაქცეულ ტუსაღის დაჭერა—1, წყალში დახრჩობა—1, გაუპატიურება—1, თავის მოკვლა—1, კაცის მოკვლა—1, უეცრად გარდაცვალება—4, ცეცხლის გაჩენა—7.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზედ გარდასწყვიტა მოიწვიოს ალექსანდროვის ბაღში, როგორც შარშან, ხუთშაბათობით და კვირაობით სამხედრო მუსიკა. მუსიკა დაუკრავს ბაღში საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე.

◆ სამკურნალო ადმინისტრაციის განკარგულებით, გორის მაზრის კავთისხევისა, ახალ-ქალაქისა და ქვემო-ჭალის საზოგადოებებში ყვავილის ამცრელები გაიგზავნენ.

◆ გორის მაზრის სოფ. ქვიშხეთში ჯერ კიდევ თებერვალში გაჩენილა ხუნაგი; ავად გახდარა 3 კაცი, მარტში—8; აქედან გარდაცვლილა ერთი, მორჩენილა 4 და ამ ჟამად კიდევ ავადაა 5 კაცი. ცხინვალის სასოფლო ქსენონის ექიმს ღონის ძიება უხმარია, რომ ავადმყოფობა არ გავრცელდეს.

აპრილის თვის განმავლობაში ზაქათალის სასოფლო სამკურნალოში 13 კაცი ყოფილა ავად სხვა-და-სხვა გადამდებ სენით; ამათგან ათი მორჩენილა და 2 ახლაც ავადაა თურმე.

◆ ცხინვალის საბოქაულოს სოფელ ქვემო—ჭალაში გასულ მარტის განმავლობაში ავად გამხდარა ყვავილით 4 ბავში; აპრილში სულ ავად ყოფილა 7; ამათგან 4-ს ავადმყოფობა ძნელად მოჰკიდებია, რადგანაც აუცრელნი ყოფილან.

◆ საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ბროძელი, სამსახურის საქმეების გამო, ბორჩალოს მაზრაში იგზავნება.

◆ სახაზინო სტამბის მმართველი ფომიჩევი სამსახურს თავს ანებებს.

◆ კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარია პირობით შეეკრა ერვიეს მემკვიდრეთ მათ სახლის დაქირავებაზე 12 წლის ვადით; ამ სახლში გადავა კანცელარია.

◆ 7 მაიის, საღამოთი, გუნიბის მოედანზე პოლიციელმა იპოვა ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი, რომელიც ოლგას საბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი.

ქუთაისის ახალი ამბები

〜 გადაწყდა კიდევ ერთი ძლიერი საჭირო კითხვა: არქიტექტორის ადგილზე ქალაქმა მოიწვია სამთო ინჟენერი ბ. დავ. ჯორჯაძე, რომელსაც წლიურად დაენიშნა 2500 მანეთი. თუმცა ჯამაგირი მაინცა და მაინც დიდი არაა, მაგრამ ქუთაისში არქიტექტორ-ინჟენრების იმდენი მოთხოვნილებაა, რომ ნაჩვენებ რაოდენობის ოდენს კერძო საქმეებიდანაც აიღებს გამრჯელი ინჟენერი. ქუთათურები ძლიერ მოხარულნი არიან, რომ ბოლო მოეღება არქიტექტორის მთელ კვირაობით ძებნას, მით უმეტეს მოხარულნი არიან, რომ ქართველ კაცთან თარჯიმანი აღარ დასჭირდებათ და პირადათ გააგებინებენ თავის თხოვნას. სამთო ინჟენერის მოწვევით ქალაქს ასცილდება ის ხარჯი (1500 მან). რომელიც უნდა გაეწია ეკლარის ქვის მადნის ზედამხედველ შტეიგერის მოწვევაზე. ბ. ჯორჯაძეს ამ დღეებში მოელიან ტფილისიდან.

— ქალაქის გამგეობამ საჭიროდ სცნო დაეკლო ეკლარის ქვის არსებული ნიხრისათვის: ყოველ მანეთს მან ორ-ორი შაური დაუკლო; ამას გარდა, ვინც ბევრ ქვას იყიდის ერთად, უთმობს მანათზე ერთიდან სამ შაურამდე. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქუთათურები შემდეგში ქალაქის მადნის ქვას იხარჯებენ, რითაც შესძენენ, როგორც თავის ჯიბას იაფად ქვის ყიდვით, ისე ქალაქს მის სალაროში თავისი წვლილის შეტანით.

— ქალაქის არჩევნები დანიშნულია ამ წლის 9 ივნისისათვის. ამომრჩეველთა სიები უკვე დამზადდა. ვექილობებს ყოველ დღე ღებულობს გამგეობა.

〜 4 მაისს ქუთაისის კერძო ქალთა პროფესიონალურ სკოლაში გამართულ იქმნა ამ სკოლის მმართველის ქ—ნის ევ. ალ. კორძაიასაგან სალიტერატურო საღამო, რუსეთის პოეტის ვ. ჟუკოვსკის პატივსაცემლად. საღამოს, რომლის პროგრამა მშვენიერად იყო შედგენილი და შესრულებული, დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო.

— ქალაქის გამგეობას ბევრმა განუცხადა სადორიის აგარაკში სამოსახლო ადგილების იჯარით აღების სურვილი, მაგრამ, რადგანაც საბჭოსაგან გასაცემად დანიშნული ადგილები აღარ დარჩა თავისუფალი, ამისათვის გამგეობა მომავალ საბჭოს სხდომას წარუდგენს მოხსენებას იმის შესახებ, რომ კიდევ დაინიშნოს იჯარით გასაცემად 30 ნაჭერი სამოსახლო ადგილი.

რუსეთის ქრონიკა

∝ მოკლე ხანში პეტერბურგს კვლავ მოხდება რუსეთის ყველა საკომერციო სასწავლებელთა წარმომადგენლების კრება ამ სასწავლებლების პროგრამის გადასასინჯავად და გასაუმჯობესებლად.

∝ თავის დროზე ვაუწყეთ მკითხველთ, რომ ამ ჟამად ადგენენ სათეატრო კანონ-მდებლობას. გაზეთების სიტყვით, პროექტი მალე იქმნება მზად. სხვათა შორის, მოჰყავთ შემდეგი სავალდებულო დადგენილებანი: მცირე მსახიობთ, რომელთაც თვეში 50 მანეთის ნაკლები ეძლევათ, ანტრეპრენიორმა უთუოდ გზის ხარჯი უნდა მისცეს, როდესაც სხვა ქალაქიდან იბარებს; მსახიობ-ქალთ, რომელთაც 75 მანეთი ეძლევა, სცენისათვის საჭირო სპეციალური კოსტიუმები ანტრეპრენიორმა უნდა შეუკეროს.

∝ გამოიცა ახალი კანონი, რომლის ძალით საქალაქო წოდებათა, სავაჭრო, სახელოსნო და სამოქალაქო საზოგადოებათ, როდესაც არჩეულ მოხელე-მსახურთ ჯამაგირებს უნიშნავენ, ამ ჯამაგირის რაოდენობა გუბერნატორებმა უნდა დაამტკიცებინონ.

∝ ქალაქი ადესა კარგა ხანია შუამდგომლობს ადესაში ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის დაარსებაზე. პრინციპიალურად საკითხი კიდეც გადაწყდა და საერო განათლების სამინისტრო მხოლოდ ავალებდა ქალაქს, თავის მხრიდაც გაეღო ინსტიტუტის დასაარსებლად საჭირო ფული. ახლა საერო განათლების სამინისტროს შეუტყობინებია ადესის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისათვის, ქალაქის შუამდგომლობა შეწყნარებული არ იქნებაო, სანამ ერთ მილიონ მანეთს არ წარმოადგენს ინსტიტუტის დასაარსებლადო.

∝ მოსკოვის საგუბერნიო ერობას ამას წინად აღუძრავს უმაღლეს მთავრობის წინაშე სამი საყურადღებო შუამდგომლობა: 1) ნება მიეცეს მას

ქის სხვა-და-სხვა ალაგს ექვსი სვეტი თასებით წყლის უფასოდ სასმელად.

30) წყლის გაყიდვით გამოწვეულ შემოსავლიდან კონტრაგენტი მოვალეა გადასდოს ქალაქის სასარგებლოთ ყოველ წლივ 20% ე. ი. ყოველ აღებული ხუთ შაურზე შაური ქალაქისაა. თუ წყლის გაყიდვა აღემატა 100 000 ვედროს დღეში, წლის ანგარიშით, იმ შემთხვევაში ქალაქი პირველ 100.000 ვედრას ზეით ყოველ ას ვედრაში შაურის ნაცვლად იღებს 6 კაპიკს; თუ აღემატა 150.000 ვედრას, მაშინ ამ რიცხვს ზეით იღებს 7 კაპ. ამ რიგად ქალაქის ხვედრი მატულობს მანამდე, სანამ კონტრაგენტის ხვედრი არ დავა 16 კაპეიკზე ყოველ 100 ვედრაში.

35) ამა პირობის ძალით კონცესიის ვადა აღინიშნება 34 წლით წყლისაყვანის მოქმედებიდან და ამ ვადის განმავლობაში ქალაქს არა აქვს უფლება გაამართვინოს სხვა ვინმეს ან წყლისსაყვანი და ან ისე მილები და სადინარები.

36) კონცესიის ვადის გასვლის შემდეგ წყლისაყვანი თავის ყოველივე მოწყობილებით და მოძრავი და უძრავი ქონებით გადადის უფასოდ ქალაქ ქუთაისის სრულს კუთვნილებაში. ყოველივე ვალები კი, რაც ედება იმ დროს ამ წყლისაყვანს, უნდა გადავიდეს სრულიად კონტრაგენტზე.

40) კონტრაგენტის დებს გარანტიათ ქალ. გამგეობაში 20.000 მანეთს, ან ფულად ან ბანკის ბილეთებად.

45) კონტრაგენტს არ აქვს უფლება გადასცეს ვისმეს ეს პირობა მისი ყოველივე უფლებით და ვალდებულობით ქალ. საბჭოს ნება დაურთველად. მაგრამ მას აქვს უფლება დაუკითხავად შეიამხანაგოს და შეეკრას პირობით რომელიმე კერძო პირს, საზოგადოებას ან დაწესებულებას.

46) კონტრაგენტს აქვს უფლება კონცესიურ ვადაში ყოველს დროს გააფართოვოს წყლის სადინართა ქსელი, ხოლო ამის შესახებ წინდაწინ უნდა აუწყოს ქალ. გამგეობას და წარუდგინოს მუშაობის პროექტი. სახლის და ეზოების სადინარების გაყვანად კი მას არ ჭირდება ამგვარი პროექტის წარდგენა.

47) ქალ. გამგეობა მოვალეა წყლისაყვანის გახსნისათანავე წარუდგინოს მთავრობას დასამტკიცებლად სავალდებულო დადგენილებანი რიონში ჩასასვლელ ადგილების დასახურავად, რათა მებოჩკე-მეთულუხეებმა არ იღონ იქიდან უწმინდური წყალი და არ ჰყიდონ მცხოვრებლებზე.

48) ამა პირობით გამოწვეული ყოველივე ხარჯი, გერბისა და ნოტარიალური გადასახადი კონტრაგენტისაა.

აი მოკლედ უმთავრესი მუხლები საკონცესიო პირობისა, რომელიც დაამტკიცა ნოტარიუსმა 1901 წელს, 22 ივლისს.

IV

დანიშნულ ვადაზედ ბ. მიხაილოვმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას წყლისაყვანის სრული ტეხნიკური პროექტი 30 ფურცლიან ნახატებით და 75 ცალი ასახსნელი წიგნაკები. ყოველივე ესა გადაეცა გასარჩევად ჯერ ინჟ. ფონ-შულცს და შემდეგ კომისიას, რომელიც შესდგებოდა სამის ინჟინრიდან, ე. ი. ბ.ბ. კუჩევსკიდან, შტემლერიდან და ფონ-შულციდან. ამათ წარუდგინეს ქალ. გამგეობას თავიანთი მოხსენება, რომელშიაც აღნიშნეს რამოდენიმე ნაკლი და მოითხოვეს პროექტის ცოტაოდენი შეცვლა. ყოველივე ამას დაეთანხმა ბ. მიხაილოვი.

ამ რიგად საქმე გათავებული იყო და ბ. მიხაილოვიც შეუდგებოდა მუშაობას, მაგრამ აღმოჩნდა ერთი დამაბრკოლებელი მიზეზი. ეს გახლდათ კითხვა, თუ საიდან უნდა გამოეყვანათ წყალი მდ. რიონიდან.

საკონცესიო პირობის მეორე მუხლი საკმაოდ ბუნდოვანია. ამ მუხლის აზრით წყალი უნდა გამოეყვანათ ჯაჭვის ხიდიდან მეორე ან მესამე ვერსტზედ შოსეთი. ამის მიხედვით ბ. მიხაილოვს სურს წყლის გამოყვანა მეორე ვერსტის დასაწყისზედ მარჯანიშვილის ადგილიდან, ქალაქი კი ავალებს წყლის გამოყვანას მესამე ვერსტზედ სახაზინო ადგილიდან. ეს წინადადება საზარალოა ბ. მიხაილოვისთვის და იწვევს უთანხმოებას. ამ რიგად ატეხილი დავა შარშან აგვისტოდან არ გათავებულა დღემდე. ბ. მიხაილოვმა 21 ნოემბერს 1901 წ. შეიტანა საჩივარი ქუთ. გუბერნატორთან, მაგრამ არ იქნა დაკმაყოფილებული, ამიტომ ბ. მიხაილოვი იძულებული შეიქნა დათანხმებოდა ქალაქის გამგეობას, ხოლო იტოვებს საჩივრის უფლებას ყოველივე მომხდარ ზარალისთვის. ამ მუქარამ გამოიწვია ხმოსან დარახველიძის წინადადება საბჭოში, რომ არჩეულ იქნას საქმის გამოსარკვევად და უთანხმოების მოსასპობად ხელ-ახალი კომისია. საბჭომ მიიღო ბ. დარახველიძის წინადადება და აირჩია ახალი კომისია, მაგრამ ხმა დადის, რომ იგი დაეთანხმება პირველი კომისიის დადგენილებას და ამ რიგად ბ. მიხაილოვი იძულებული იქნება იღოს წყალი მესამე ვერსტიდან, რომელიც მოშორებულია მცხოვრებთაგან და ამ რიგად უფრო წმინდა და მარგებელია.

როგორც ამ დღეებში გავიგე თვით ბ. მიხაილოვიდან, ამ თავით საჭირო ფული კიდეც შეუგროვებიათ და იმედობს, რომ ამ ერთ თვეში შეუდგეს მუშაობას. მილების რამდენიმე ნაწილი კიდეც გამოუწერია და ზოგიც მოსულია.

ვისურვებ გულით, რომ ამ მშრომელმა და ენერგიულმა კაცმა განახორციელოს მალე ის ფრიად სასარგებლო საქმე, როგორიცაა ქუთ. ქალაქის წყლისაყვანი და მით იხსნას ამოდენა მცხოვრებნი გაბინძურებულ წუმპოს ხმარებიდან. ყოველი ადამიანი და მეტადრე ყველა ქუთათურნი უნდა ვიყოთ ამის მონატრულნი.

დასასრულ მივცემთ რამდენიმე შენიშვნას: 1)მილთა და სოლინართა სივრცე $18\frac{1}{2}$ ვერსტი ძლიერ ცოტაა. მათი სივრცე უნდა იყოს ამ თავით არა ნაკლებ 30 ვერსტისა; 2) პირობაში აღნიშნული წყლის მძლეველი ონკანები რიცხვით 15. ძლიერ ცოტაა, ჩვენის აზრით, ქუთაისს დაჭირდება 25-30 ამისთანა ონკანი; მასთან უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქის სამთო ნაწილს, სახელდობრ, საფიჩხიას და მწვანე ყვავილას, სადაც საოცარი სიძვირეა წყლისა, ხოლო საუკეთესო ნაწილია ჰავით და მდებარეობით. § 36. 5 საჟენზედ დამზევი აუზის გამართვა მიგვაჩნია არა საკმარისად საფიჩხიისათვის, სადაც საოცარი სისწრაფით მატულობენ მოსახლენი და სადაც წყალი მეტადრე დილ-დილობით არ ექნებათ. ამაში დამეთანხმა თვით ბ. მიხაილოვი, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია გაიმართოს საფიჩხიაზედ მეორე დამზევი აუზი.

სიმონ ქვარიანი.

გამოსცეს გაზეთი, რომელიც ემსახურება როგორც მოსკოვის გუბერნიის საერობო საქმეებს, ისე სხვა გუბერნიებისას; 2) ნება მიეცეს მას დააარსოს გუბერნიის სხვა-და-სხვა ადგილებში საეკონომიო სამზრუნველო კომიტეტები, რომელთაც დაევალება საგუბერნიო და სამაზრო ერობათა დადგენილებების და სხვა-და-სხვა ღონისძიების სისრულეში მოყვანა და 3) ნება მიეცეს მას საგუბერნიო საერობო და საქალაქო საქმეთა საკრებულოში მეტი წარმომადგენელი იყოლიოს, ვიდრე ამ ჟამად ჰყავს. ამ შუამდგომლობათა სვებედს ინტერესით ადევნებდნენ თვალ-ყურს რუსეთის სხვა ერობანიც, რადგან იმავე საქმეთა ასრულება მათაც ჰსურდა. ამ დღეებში შინაგან საქმეთა სამინისტრომ უარ-ჰყო სამივე შუამდგომლობა.

დაბა-სოფლები

ჭიათურა: ზოგ მკითხველს მოეხსენება, რომ ჭიათურელ მუშებს აქამდის აბანო არ ჰქონიათ და არც დღეს აქვსთ. თუმცაღა ახლა აკეთებენ აბანოს, მაგრამ ჯერ სისრულეში არ არის მოყვანილი. აქამდის უაბანოობას არაფრად აგდებდნენ ჭიათურელი მუშები და მრეწველები, მით უმეტეს, რომ ჭიათურაში მოდინარეობს ყვირილა. ისინი ამ მდინარეში ბანაობდნენ ან სარეცხს რეცხავდნენ; ეხლა კი, მათდა საუბედუროდ, ამ მდინარეში რეცხვა-ბანაობაც შეუძლებელი შექნათ. ხსენებულ მდინარის პირზედ სადგურ დარკვეთის მახლობლად აწარმოებენ მარგანეცს საზღვარ-გარეთლები, („დარკვეთის ამხანაგობა"). ამათ აქვთ მოწყობილი მარგანეცის სარეცხი ქარხანა; რეცხავენ მარგანეცს და ამის გამო შეუძლებელი ხდება წყლის ხმარება; წყალი სულ შავი, ტალახის ფერი მოდის. ძრიელ კარგი იქნება, ამ ფრიად საჭირო საქმეს მიაქცევდეს ყურადღებას ვისაც ჯერ არს და დამ-დამობით მაინც გაარეცხინებდეს მარგანეცს ხსენებულ ამხანაგობას, თორემ სწორედ გასაჭირი შეიქნა საქმე როგორც ჭიათურლებისთვის, ისე სხვებისთვისაც, ვინც ამ მდინარეს ხმარობს.

ხონი: კვირას, 5 მაისს, შესდგა ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის კრება, რომელზედაც არჩეულნი იქმნენ გამგეობის წევრებად: ნ. წერეთელი, ბუდუ მდივანი, და ერ. კოწმარაშვილი; გამგე-დირექტორად არჩეულ იქმნა ნ. წერეთელი; სარევიზიო კომისიის წევრებად: ივ. გომართელი, ვ. კაკალიშვილი და ე. ქუთათელაძე. საზოგადო კრებამ აირჩია აგრეთვე განსაკუთრებული კომისია ს. მდივნისაგან, ი. ქუთათელაძისაგან და ი. კაკაბაძისაგან, რომელსაც დაავალა გამგეობის მოქმედების მოსაწესრიგებლად ინსტრუქციის შედგენა.

გამიჯვნის საქმე ქუთაისის გუბერნიაში

ამ წლის 2 მარტს სამინისტროს დაუმტკიცებია გეგმა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ქუთაისის გუბერნიაში მიწის გამიჯვნის საქმის დროს.

ქუთაისის პირველ სამიჯნაო ოლქში არის დანიშნული გასამიჯნავათ შემდეგი მაზრების სოფლის მამულები: სენაკის მაზრა—სოფელ ონტოფოს გამიჯვნა დაიწყება მაისში უფროს მიწის მზომელის ლებედევის მიერ.

ზუგდიდის მაზრა—სოფელ ჩაკვინჯის მამულების გამიჯვნა დაიწყება 15 მაისიდან უფროსი მიწის მზომელ ბაკულინსკის მიერ. ბაკულინსკისავე აქვს მინდობილი სოფელ. ობუჯი, გულისკარი და ბიას მამულების გამიჯვნა, სოფელ სუჯუნა. და ბაღდას მამულების გამიჯვნა მინდობილაქვს უმცროს მიწის მზომელს ყუკოვს. გამიჯვნა მაისში დაიწყება.

სოფელ წალენჯიხას და ჯვარს გამიჯვნა დაიწყება მაისშივე უმცროს მიწის მზომელის ანსიმოვის მიერ. სოფ. თაბაკონი, ანჯელისა, პატარა ჭალადიდისა და თეკლათის მამულების გამიჯვნა მაისშივე დაიწყება უმფროს მიწის მზომლის თანაშემწის მაიკოშევის მიერ. სოფ. ქვალონი, ხორგა, ხორში, ჯაგრა, და ციზეთის მამულების გამიჯვნა დაიწყება აგვისტოში მაიკოშევის მიერვე.

ქუთაისის მეორე სამიჯნაო ოლქი

ოზურგეთის მაზრა. სოფელ ჩოლოქის მამულების დაყოფა, თანახმათ სასამართლოს გადაწყვეტილებისა, მინდობილი აქვს უმცროს მიწის მზომელს შებოლდაევს. მუშაობა დაიწყება მაისში. სოფელ ბაღდადის, ჯუმათის და ჯურუყვეთი, მუშაობა დაიწყება ივნისში, ამ მამულებში უნდა სისრულეში მოიყვანონ სასამართლოს განაჩენი, და ეს მინდობილი აქვთ უმცროს მიწის მზომელს შებოლდაევს.

სოფელ ლანჩხუთის გამიჯვნის გაგრძელება მოხდება იმ თვეშივე, იმავე მიწის მზომელისგან.

სოფ. ძიმითის მამულების გამიჯვნის გაგრძელება დანიშნულია მაისში, მინდობილი აქვს უმფროს მიწის მზომელის თანაშემწეს საბუროს.

სოფ. ნაგომარის ტყეის გამიჯვნის გაგძელება დაიწყება მაისში უმცროსი მიწის მზომელ კორნევის მიერ.

სოფ. ამაღლების მამულის გამიჯვნის გაგრძელება დაიწყება მაისში უმფროს მიწის მზომლის თანაშემწის ბაქრაძის მიერ. სოფ. ერკეთის და სურების მამულების გამიჯვნის გაგრძელება დაიწყება მაისში უფროს მიწის მზომელ რომანუს და თათარინოვის მიერ.

(დასასრული იქნება)

უცხოეთის წვრილი ამბები

ამერიკელი ქალის უცნაურობა. ამერიკელი ქალების უცნაურობა მთელმა ქვეყანამ იცის, მაგრამ ერთმა იმათგანმა, რომელიც ამ ჟამად პარიზში ცხოვრობს, ყველას გადააჭარბა თავის უცნაურობით.

პოეტ-დრამატურგის როსტანის ნაწარმოებით გატაცებულმა ამ ქალმა მოინდომა როსტანის გაცნობა.

როდესაც ქალმა შეიტყო, რომ როსტანი რამდენიმე ხნით პარიზის ახლო სასტუმროში დაბინავდა, იმანაც იქ მიაშურა და დასახლდა.

როდესაც ქალმა სასტუმროს მოსამსახურე გოგოსაგან შეიტყო, რომ როსტანი თავის ცოლით საერთო სასადილოში ისადილებენ, თითონაც მოინდომა იმ სასადილოში დასწრება, რომ ახლო გაეშინჯა ჟავისი სათაყვანებელი პოეტი, მაგრამ, საუბედუროდ, ქალს დაუგვიანდა და დანიშნულ საათზე ვერ მოვიდა. როდესაც ის სასადილოში შევიდა, როსტანი უკვე წასულიყო. დაუძახა ბიჭს და ჰკითხა, რომელ ადგილზე იჯდა როსტანიო და როდესაც დაინახა, რომ როსტანის თეფშზე ისევ ეყარა ფორთოხლის ქერქი და ექვსიოდე ალუბლის კურკა, საჩქაროდ აჰკრიფა და თავის ქისაში ჩაჰყარა.

შემდეგ როცა შეიტყო, რომ როსტანი პარიზში წავიდაო, თითონაც უკან დაედევნა.

მეორე დილას წავიდა საუკეთესო იუველირთან და შეუკვეთა დიდებული გულსაკიდი დიდრონის ბრილიანტებით, რომლებითაც ისე უნდა მოეჭედა გულსაკიდი, რომ ყოველ ბრილიანტის შემდეგ თითო ალუბლის კურკა უნდა ჩაესვა, ამასთანავე ქალმა გაკვირვებულ იუველირს ექვსი კურკა გადასცა და თან აუხსნა, რომ ეს კურკები იმას სამშობლოს აგონებენ, იმ ალუბლის ხეებს, რომელთაც გადაარჩინეს იმისი მშობლები სიკვდილს პატაგონიაში მოგზაურობის დროს. ერთის სიტყვით, რაღაც მოსჩმახა.

ერთი კვირის შემდეგ იუველირმა მოუტანა გულსაკიდი, რომელიც მოჭედილი იყო დიდებულის ბრილიანტებით და ოქროს ბუდეებში ჩასმულის ალუბლის კურკებით.

როგორც იყო, ბოლოს, ერთ საღამოს ამერიკელმა ქალმა თავის ბანკირთან გაიცნო როსტანი.

— იცით რა?—მიუბრუნდა პოეტს ქალი,—ეხლახან ცოტა გაწყდა, თქვენი მეზობელი არ შევიქენი სუფრაზე. და სასტუმრო დაუსახელა.

— ჰო, დიახ, რამდენიმე დღე ვიყავი იმ სასტუმროში,—უპასუხა როსტანმა.

— მაშ ეს გულსაკიდი თქვენ არაფერს არ გაგონებთ?—ჰკითხა ქალმა და თან უჩვენა ყელზე ჩამოგდებული ბრილიანტებით და კურკებით მოჭედილი დიდებული გულსაკიდი.

გაოცებული პოეტი გულსაკიდს დააკვირდა და შემდეგ უპასუხა.

— სწორეთ არაფერს არ მაგონებს.

— როგორ! მერე თქვენ რომ ალუბალი ძალიან გიყვართ? იმ დღეს თქვენ ექვსი ცალი შეჭამეთ და აი ის კურკები წმიდად შევინახე!

როსტანს საშინელი სიცილი წასკდა.

— მშვენიერო ქალბატონო,-უთხრა პოეტმა, როცა დამშვიდდა,—თუ გნებავთ ნამდვილი შეიტყოთ, ეგ კურკები იმ ალუბლისაა, რომელიც შეჭამა ჩემმა ცოლმა, რომელსაც საშინლად უყვარს ალუბალი. მე კი, სწორე მოგახსენოთ, ალუბალი დასანახავად მეჯავრება და გარდა ამისა კუჭის ანთების შემდეგ ამიკრძალეს ხილის ჭამა.

შერცხვენილი ამერიკელი ქალი ამ სიტყვებზე სახტად კი დარჩა! მეორე დღეს გულსაკიდი დაუბრუნა იუველირს და მისწერა:

„კურკები ყალბი გამოდგა, რაც მე წინათვე უნდა მცოდნოდა, რადგანაც პატაგონიაში ალუბლის ხეები არ არის. გთხოვთ, კურკები გადაყაროთ და იმათ მაგივრად ბრილიანტები ჩასხათ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 მაისი

პეტერბურგი. იმ გემთა შორის, რომლებიც მიეგებნენ პრეზიდენტ ლუბეს კრონშტადტში, განსაკუთრებითი ყურადღება მიიქცია რუსულმა გემმა „ჩინეთმა", რომელიც ძვირფასად იყო მორთული და რომელზედაც იყვნენ საფრანგეთის ახალშენის (რუსეთში) წევრები. გემიდან წყალში სროლიდობდნენ საფრანგეთის გემების წინ ყვავილებს, ვარდებს და საფრანგეთის ბაირაღებს.

ბელგრადი. პაშიჩის კაბინეტი არ შესდგა, რადგან პარიზიდან დეპეშით გამოწვეულმა ელჩმა ნიკოლიჩმა არ მიიღო გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობა. მეფემ ხელ-ახლად მიანდო კაბინეტის შედგენა ვუიჩს. კაბინეტი შემდეგის პირებისაგან შესდგება: მინისტრ-პრეზიდენტი და გარეშე საქმეთა მინისტრი ვუიჩი, მინისტრი ფინანსებისა—მიკა პოპოვიჩი, სახალხო განათლებისა—სტამენკოვიჩი, სამხედრო—პოლკოვნიკი ანტონიჩი, შინაგან საქმეთა—სტეფანიჩი და საზოგადო სამუშაოთა—გველიროვიჩი; კაბინეტის ახალი წევრებია—ნინჩიჩი, იუსტიციის მინისტრი და ნიკოლიჩი, ვაჭრობის მინისტრი. კაბინეტში 4 რადიკალია, 3 პროგრესისტი და 1 ნეიტრალი.

ბერლინი. გუშინ საუზმის დროს ახალ სასახლეში იმპერატორმა რუსეთის იმპერატორის სადღეგრძელო დალია.

ლონდონი. „ტაიმს"-სატყობინებენ ტოკიოდან, რომ იაპონიის ფლოტის გაძლიერება 6 წლის განმავლობაში 1904 წ. დაწყებული, გამოიხატება შემდეგში: გაკეთებული იქნება 4 საომარი გემი, 2 ჯავშნიანი კრეისერი, 2 კრეისერი მეორე კლასისა, ნაღმიანი გემების 15 საწინააღმდეგო ნავი და 50 ნაღმიანი გემი.

კიევი. დაიწყო გამოცდა იურიდიულ საეგზამენო კომისიაში. ეგზამენს იჭერს 284 კაცი; თავმჯდომარე კრემლიოვია; ეგზამენები დამთავრდება 10 ივნისს.

კრონშტადტი. 4 საათზე გამართულ იქმნა სადილი საფრანგეთის ესკადრის კომანდებისათვის; სადილობდნენ რუსეთის კონდუქტორები, კვარტირმეისტერები და მატროსები. ბევრი კარგი სიტყვა იქმნა წარმოთქმული. შემდეგ პეტრეს ნავთსადგურში გაიმართა ცეკვა. სადილმა დრმა შთაბეჭდილება მოახდინა.

სამარყანდი. შემუშავებულ იქმნა და თურქესტანის გენერალ-გუბერნატორმა დაამტკიცა პლანი სამარყანდში მუზეუმის, სახალხო ბიბლიოთეკის და სამკითხველოებისათვის ასაგებ შენობისა; სახლი 40 ათ. მან. დაჯდება.

8 მაისი.

პეტერბურგი. 7 მაისს, საღამოს 7 საათსა და 30 წ., ცარსკოე-სელოს დიდ სასახლის დიდს დარბაზში, მის უდიდებულესობის დასწრებით, გაიმართა სადღესასწაულო სადილი საფრანგეთის პრეზიდენტის პატივსაცემლად. ხელმწიფე-იმპერატორმა შემდეგი სადღეგრძელო წარმოსთქვა: „სრულის გულით მოგესალმებით და გილოცავთ მშვიდობით მობრძანებას, ბატონო პრეზიდენტო. მე იმედი მაქვს, რომ თქვენი ჩვენ შორის ყოფნა, საუკეთესოდ დაგიმტკიცებთ რუსეთისა და საფრანგეთის შემაერთებელ გრძნობებს; მე მსურს, რომ ისეთივე სიამოვნება იგრძნოთ, როგორც ვიგრძენით შარშან რამდენიმე დღით საფრანგეთში ყოფნის დროს მე და დედოფალმა. ეს სამუდამო სახსოვრად დარჩება ჩვენს გულში. მე ვსვამ, ბატონო პრეზიდენტო, თქვენ სადღეგრძელოს და ვუსურვებ დიდებასა და ბრწყინვალებას ორივე მეგობარ და მოკავშირე ქვეყნებს". პრეზიდენტმა უპასუხა შემდეგი სადღეგრძელოთი: „ხელმწიფევ! გიძღვნი-რა საპასუხო სალამს, ამასთანავე განსაკუთრებულის სიამოვნებით გიცხადებთ საფრანგეთის აღტაცებულ გრძნობათ, რომლითაც იგი თქვენდა მიმართ აღვსილია, და რომლის მნახველიც ამ მოკლე ხანში თქვენი უდიდებულესობა იყო. რამდენიმე საათიც საკმაო იყო ჩემთვის დავრწმუნებულიყავ, რამდენად თანაუგრძნობს თქვენი ქვეყნის გული საფრანგეთის გულის თქმათ. საფრანგეთიც ამგვარადვე ბედნიერია საერთო სრულის თანხმობით, რომელიც აღბეჭდილია თქვენის დიდებულებისა და იმპერატრიცის ხსოვნაში; დიდათ ბედნიერი ამ გრძნობათა გამოხატვით, ვსვამ სადღეგრძელოს თქვენის უდიდებულესობისა, დედოფლისა, ქვრივის დედოფლისა და მთელის საიმპერატორო სახლისა. ვუსურვებ დიდებასა და ბედნიერებას რუსეთს, გულწრფელსა და ერთგულს მოკავშირეს საფრანგეთისას".

ნასადილევს მათ უდიდებულესობათ ჩამოუარეს სტუმრებს. ათ საათზე სტუმრები საგანგებო მატარებლით პეტერბურგში წავიდნენ.

საღამოს პეტერბურგის საბჭოში სტუმართა პატივსაცემლად ნადიმი გაიმართა. ქალაქის თავმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელსაც დამსწრენი „ურა"-ს ძახილით მიეგებნენ. მუსიკა «მარსელიეზას" უკრავდა.

ტიან-ძინი. მეამბოხეთა ბრბო თავს დაესხა ხან-კოუ პეკინის გზას, დასწვა ხიდი და საშენებელი მასალა. ბელგიელ ინჟინერებმა უკან დაიწიეს ტშენგ-ტინგ-ფუსაკენ.

მადრიდი. გუშინ ჯარების დათვალიერების შემდეგ მეფე შეუძლოთ გახდა.

რომი. სულთანის ბრძანებით იტალიის მეინიჭა უფლება იყოს მფარველად იტალიელ ქვეშევრდომებისა წმინდა ადგილებში.

პარიზი. ნამდვილია, რომ მინისტრ-პრეზიდენტმა გადასწყვიტა 1 იანვრამდე გამოვიდეს სამსახურიდან.

წმიდა თომა. კუნძულ მარტინიკიდან ისმოდა უფრო ძლიერი აფეთქების ხმა, ვიდრე 7 მაისს.

მიდლბურგი. ას-ოცი ბური 5 მაისს თავს დაესხა აბერდინს. ისინი უკუ ქცეულ იქმნენ.

ფორტ-დე-ფრანსი. დილის ექვსს საათზე საშინელის სისწრაფით გადმოეფარა ნაცრის საშინელი ღრუბელი ფორტ-დე-ფრანსს; მოჩანდა ელვა, რომელსაც თან გრიალი მოსდევდა.

ვერხნეუდინსკი. ადგილობრივმა ფილანტროპმა ფროლოვმა, ათას-ათასი თუმანი შესწირა საქალაქო სასწავლებელს, სახელოსნო კლასსებს და შრომის მოყვარეობის სახლის დასაარსებლად და 23,000 მ. ზუდინის სასწავლებლის ასაგებად, კიდევ შესწირა 10,000 მან. სახალხო სახლის ასაგებათ და ასი თუმანი—საქალაქო სასწავლებელში ფიზიკურ კაბინეტის მოსაწყობად. საბჭო აირჩევს მას ქ. ვერხნეუდინსკის საპატიო მოქალაქედ.

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან ხელით ნახატებიდან.

ზინ
ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
(საკუთარი ტყიდან)
გრის მოედანზე, ყაფანთან
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი ნახშირი.
შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.
ტელეფონი № 754. (წ.).

მაღაზია
ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა
ქ. ქუთაისში
გიმნაზიის და ალექსანდრეს ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ **ქუთაისის და ქუთაისის ახლო-მახლო სოფლების საზოგადოებას,** რომ ჩვენს მაღაზიაში გვაქვს მუდამ მრავალ-გვარი **ფარფორის და ფაიანსის საქონელი** სხვა-და-სხვა ხრუსტალის და შუშეულების ნაწარმოები, ვარშავისა და საზღვარგარეთელი ლამპები. საზღვარ-გარეთელი რკინეული საელემენტო ჭურჭლეულობა უმაღლესი ხარისხისა. სპილენძის ჭურჭლეულობა, სამოვრები და ყოველ-გვარი საოჯახო კუთვნილებანი. მელხიორის და ბრიჯაოს ნაწარმოებნი. ვენის გაღუნული ბამბუკის სახლის ავეჯეულება. ინგლისური და ვარშავის კრაოტები და მატრაცები. სხვა-და-სხვა კედლის და სატუალეტო სარკეები. კლიონკები და ლინოლეუმები პოლისთვის. რუსული და საღვარ-გარეთელი გიტარები, სკრიპკები და სტრუნები ყოველ-გვარი. საეკკლესიო კუთვნილებანი.
ყველაფერი ისყიდება **ზომიერ ფასად და უვაჭროდ.** (45—15)

Дозволено цензурою Тифлисъ, 8 Мая 1902 года.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.